

**ნარჩენების მართვის პრობლემები საქართველოში და საუკეთესო პრაქტიკა.  
სტიქიურად დაბინძურებული  
ტერიტორიების გეომონაცემთა ბაზის შექმნა**

**ნინო სულხანიშვილი**

ელ-ფოსტა: nino.sulkhanishvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ჭავჭავაძის გამზ. 1

ნარჩენების არასრულფასოვანი მართვა საქართველოში დღემდე ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ნარჩენები არის ჰაერის, ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისა ერთ-ერთი ძირითადი წყარო. სტიქიურად განთავსებული ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ძირითად მიზეზს ნარჩენების შეგროვების სისტემის მოშლა წარმოადგენს.

ჩვენ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის პოლიტიკა და კანონმდებლობა ეროვნულ დონეზე. არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყნის ტერიტორიაზე ყოველწლიურად წარმოქმნილი და დაგროვილი ნარჩენების რაოდენობის, ტიპების, გადამუშავება/რეციკლირების, განთავსების და გაუვნებელყოფის მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად ამ სფეროში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით.

ნაშრომი მოიცავს ნარჩენების მართვის პრობლემების მიმოხილვას საქართველოში და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს (შვედეთის გამოცდილება).

ნაშრომში ასევე განხილულია გეომონაცემთა ბაზაა რომელიც, ამ ეტაპზე იქმნება, საქართველოში სტიქიურად დაბინძურებული ტერიტორიების შესახებ. სისტემა მოიცავს საქართველოში სტიქიურად განთავსებული ნარჩენების ადგილმდებარეობებს, დაახლოებით ფართობს, განთავსებული ნარჩენების დაახლოებით რაოდენობას, საპილოტე წერტილების კვლევის მონაცემებს ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით.

აღნიშნული პროდუქტი იქმნება ორგანიზაციის EcoVision მიერ შვედეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „დავასუფთაოთ საქართველო“.